

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2019 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღალანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი,  
ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევან  
ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული,  
ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე - ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის  
განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის  
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვახტანგ გაგნიძე,  
საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და  
ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

**დღის წერიგი:**

- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #18  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,  
სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე  
პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღალანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება აღნიშნული სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ დებულების მეორე მუხლს ემატება ზ) პუნქტი, სადაც ნათქვამია რომ სამსახური უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო დეფიციტური აქტებისა ან/და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

ჩანაწერი არის ზოგადი და ბუნდოვანი და მოითხოვს დაკონკრეტებას. ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს არა საჭიროების, არამედ კონკრეტულად რა შემთხვევაში აქვს სამსახურს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის უფლება.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის შესწორებული ვარიანტი.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცებას. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრება 144 000 ლარით.

განსახორციელებელი პროგრამის შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრებს გააცნო მერიის შესაბამისი სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსმა ვახტანგ გაგნიძემ. მან აღნიშნა, რომ 2019 წელს გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ყორჩიბაშვილების ციხე-ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია.
2. დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები.
3. დაბახნების არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა.
4. დაბახნების სარეკონვერსაციო სამუშაოები.
5. დაბახნების ობიექტის გადახურვა.
6. თეთრწყლები/ნაქალაქარი-არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები.
7. კვირიკეს ციხის (ძვ.გალავანი) არქეოლოგიური სამუშაოები.
8. კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა.
9. კულტურული მემკვიდრეობის მოვლისა და დასუფთავების ხარჯი-ქ.თელავში, ძველი აბანოს შიდა და გარე ტერიტორიის გაწმენდა და შემოღობვა.
10. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი აბრები.
11. ავარიული შენობების დამცავი ბადეების შესყიდვა.
12. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი.  
გ. ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია ძეგლთა დაცვის პროგრამის განხილვისას წარმოდგენილი იყოს ვიდეო და ფოტო მასალები.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე

დავით დალანიძე